2019

პლაგიატის არსი და მისი არიდების ინსტრუქცია

ქართული უნივერსიტეტი

SANGU

შინაარსი

პლაგიატის მოკლე განმარტება 2
პლაგიატის გამომწვევი ძირითადი მიზეზები 2
პლაგიატის ფორმები 2
პლაგიატისგან არიდების ხერხები 3

პლაგიატის არსი და მისი არიდების ინსტრუქცია

პლაგიატის მოკლე განმარტება

აკადემიურ წერაში პლაგიატი არის სხვა პირის იდეის ან ინფორმაციის გამოყენება ნამუშევარში, შესაბამისი წყაროს ციტირებისა და მითითების გარეშე. ეს ეხება ნებისმიერ წყაროს; ბეჭდურს ან ელექტრონულს, გამოქვეყნებულს ან გამოუქვეყნებელს.

პლაგიატის გამომწვევი ძირითადი მიზეზები

- პლაგიატის არსის არ ცოდნა.
- ბოლო ვადები (ე.წ. დედლაინი) და/ან დროის არასწორი მართვა, როცა ვეღარ ესწრება კვლევა და სხვისი მასალების ნაჩქარევად ჩასმას მიმართავენ საკუთარ ნაშრომში.
- არაორგანიზებული კვლევა და კონსპექტირება, რაც ხშირად იწვევს დაბნევას საკუთარსა და სხვა წყაროებიდან აღებულ იდეებს შორის.
- აზრის ჩამოყალიბებისას თვითრწმენის ნაკლებობა.

პლაგიატის ფორმები

- პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი, ცხრილი, ფორმულა, დიაგრამა, კითხვარი, კომპიუტერული კოდი, აუდიო ჩანაწერი და სხვა) მითვისება ავტორის მითითების გარეშე;
- პარაფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პარაფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პარაფრაზირებული პლაგიატია ასევე პარაფრაზისას ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხს ბუნდოვანს ხდის;
- მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება ცალკეული ავტორების მითითების გარეშე;
- თვითპლაგიატი - ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნება საკუთარი ნაშრომის ციტირების გარეშე;
- ფარული თანამშრომლობა სხვების მოტყუების მიზნით - აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვა პირისგან მიღებული დახმარების არაღიარებას, ჯგუფურ პროექტზე მუშაობისთვის დადგენილი წესების არ გათვალისწინებას;
- ნამუშევრის ან მისი ნაწილის სხვა პირისგან შეძენა და მისი საკუთარ ნაშრომად წარმოჩენა.

პლაგიატისგან არიდების ხერხები

პლაგიატის თავიდან არიდებისთვის შემდეგი რჩევები გამოგვადგება:

ა) წინასწარი დაგეგმვა: დაუთმეთ საკმარისი დრო ნაშრომის სტრუქტურისა და შინაარსის დაგეგმარებას.

ბ) გამოყენებული წყაროების შენახვა: ჩაიწერეთ და შეინახეთ ყველაფერი რასაც კითხულობთ; ავტორი, სათაური, გვერდი, გამოცემის ადგილი და თარიღი. თუ კითხულობთ ონლაინ მასალებს, ჩაინიშნეთ ავტორი, სათაური, თარიღი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ბმული და ვებ-გვერდის ნახვის თარიღი.

გ) სიფრთხილე პერიფრაზირებას: პერეფრაზირება მოახდინეთ ყურადღებით და ფრთხილად, ჩაინიშნეთ საიდან რისი პერიფრაზირება მოახდინეთ. ამგვარად როდესაც დაუბრუნდებით შესაბამისი ნაწილის წერას თქვენი და სხვა ავტორების აზრები არევას თავიდან აიცილებთ.

დ) სწორად მოახდინეთ ციტირება: თქვენს ჩანაწერებში სხვისი ტექსტის ნაწილების ჩასმის დროს ფრაზები მოათავსეთ ბრჭყალებში და შეინახეთ წყაროები. ეს დაგეხმარებათ ცოდნაში, რომ პირდაპირი ციტირება არის და არ წარმოადგენს თქვენს ნააზრევს.

ე) პერეფრაზირება წყაროს მითითების გარეშე: არასდროს მოახდინოთ პერიფრაზირება ან ციტირება წყაროდან, თუ მაშინვე არ გააკეთებთ წყაროს მითითებას ჩანაწერებში. რადგან არსებობს რისკი იმისა, რომ შესაძლოა შემდგომში დაგავიწყდეთ ციტირების მითითება და უყურადღებობის გამო უნებლიეთ მიითვისოთ ნამუშევარი, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით.

ვ) არ დაიზაროთ შეკითხვა: თუ არ ხართ დარწმუნებული ან გაქვთ რამე კითხვები პლაგიატის შესახებ კვლევაზე მუშაობის დროს შეეკითხეთ თქვენს ლექტორს ან ხელმძღვანელს.

ზ) გამოყენებული მასალების შენახვა: შეინახეთ ყველაფერი რაც გამოიყენეთ კვლევისას, მაგ. ჩანიშვნები, ასლები, PDF-ები, ნაბეჭდები და ა.შ. სანამ თქვენი ნამუშევარი არ იქნება შეფასებული.

თ) ნამუშევრის გადაცემამდე პრევენციული შემოწმება: 1) ყველა პირდაპირ ციტირებული ციტატა არის თუ არა ბრჭყალებში ჩასმული და მითითებულია თუ არა შესაბამისი წყარო; 2) ყველა პერიფრაზირებულ ტექსტს მითითებული აქვს თუ არა ციტირების წყარო; 3) ციტირებულ ტექსტს აქვს თუ არა ნამუშევრის ბოლოს მითითებული დამოწმება.